თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 12

ქ.თელავი 12. 10. 2021 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ტიტე დარეჯანიშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ჩვენი თელავი''-ს განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხს. ტ. დარეჯანიშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ჩვენი თელავი''-ს განცხადების განხილვის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **ტიტე დარეჯანიშვილმა** კომისიას წარუდგინა საკრებულოს წევრის, გიგა მამუკელაშვილის 2021 წლის 11 ოქტომბრის განცხადება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

ვინაიდან გიგა მამუკელაშვილი, ამავე დროს არის საკრებულოს ფრაქციის „ჩვენი თელავის“ წევრი და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ფრაქცია შედგება სამი წევრისაგან, სახეზე გვაქვს ფრაქციის გაუქმების საფუძველი, კერძოდ ფრაქციის შემადგენლობა,ორგანული კანონის თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით, გიგა მამუკელაშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ფრაქციაში რჩება ორი წევრი, რაც წარმოადგენს ფრაქციის გაუქმების საფუძველს 2021 წლის 12 ოქტომბრიდან.

გადაწყვიტეს: მომზადდეს კომისიის დასკვნა და აღნიშნული დასკვნა ფრაქცია „ჩვენი თელავის“ გაუქმების შესახებ ცნობის სახით წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს.

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: **ტიტე დარეჯანიშვილი**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ

საკითხთა კომისია

2200, ქ.თელავი, ერეკლე II გამზ. 16 ტელ: 599323778, ელ. ფოსტა: nanakhvistani167@gmail.com

დ ა ს კ ვ ნ ა

კომისიამ განიხილა თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიგა მამუკელაშვილის 2021 წლის 11 ოქტომბრის განცხადება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ .

ვინაიდან გიგა მამუკელაშვილი, ამავე დროს არის საკრებულოს ფრაქციის „ძლიერი თელავის“ წევრი და ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ფრაქცია შედგება სამი წევრისაგან, სახეზე გვაქვს ფრაქციის გაუქმების საფუძველი, კერძოდ ფრაქციის შემადგენლობა ,ორგანული კანონის თვითმმართველობის კოდექსის 30-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად განისაზღვრება არანაკლებ სამი წევრით, გიგა მამუკელაშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ფრაქციაში რჩება ორი წევრი, რაც წარმოადგენს ფრაქციის გაუქმების საფუძველს 2021 წლის 12 ოქტომბრიდან.

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: ტიტე დარეჯანიშვილი